



სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამომცემი 1957 წლიდან
№9 (317) ნოემბერი, 2018 წელი

გ ა ზ ე თ ი

სოფრა — უპირობო პერიოდი



ფიცილინა პისცილოგიაში,
ემპროლოგია და ციცილოგიაში



9 და 26 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ტრადიციულად, უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებს და რეზიდენტებს შეხვდა შეხვედრების მიზანი აკადემიური პროგრესის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების საკითხების, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა გახლდათ.

833

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაარსდა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტი

832



პისცილოგის, რიცილოგისა და ემპროლოგის დეპარტამენტის ორგანიზებით, უკვე მეორედ, ჩატარდა ვიქტორინა, რომელშიც მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის 49 სტუდენტი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით, მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

833

ღიანუცი მსოფლიო მედიცინის პრობლემაა, ძნელად სამართავი, განსაკუთრებით ზავშვთა ასაკში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი უვანიას სახელობის პედაგოგის აკადემიურ კლინიკაში, ღიანუცის მსოფლიო დღე, ტრადიციულად, განსაკუთრებულად აღინიშნა.

საქართველოს პედაგოგ ენდოკრინოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თსსუ-ის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ მარინა გორდელაძის და მალაქოპროფესიონალი მედიკოსთა გუნდის მრეწველობის შედეგია, რომ ასობით პაციენტს, დღეს, თანატოლთა მსგავსად, მხიარული და ზედხიარულია.

834



პროფესორ მიხეილ შენგელიას სახელობის მედიცინის ისტორიის განახლებული მუზეუმი, რომელიც თსსუ-ის სასწავლო-სამეცნიერო ზაზას წარმოადგენს, ხანგრძლივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა.

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი 55 წლის წინ მედიცინის ისტორიის მკვლევრის, პროფესორ მიხეილ შენგელიას, მიერ დაარსდა, მან ეროსა და ქვეყანას დაუტოვა უმთავრესი სამეცნიერო-კულტურული კერა, დღემდე კავკასიის რეგიონში ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმი.

836

შეხვედრები რეესტრთან



19 და 26 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ტრადიციულად, უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებს და რეზიდენტებს შეხვდა. შეხვედრების ძირითადი მიზანი აკადემიური პროცესის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების საკითხების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა გახლდათ.

დისკუსიის დაწყებამდე, განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, აუდიტორიას ინფორმაცია გააცნო თსსუ-ის კანცლერის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე ბუაჩიძემ. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჰქონდეთ სრული

ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით და ამასთანავე ადმინისტრაციამ იცოდეს მათი აზრი და მოახდინოს რეაგირება შენიშვნებსა და წინადადებებზე.

„სტუდენტური თვითმმართველობის დახმარებით არაერთხელ ჩატარდა გამოკითხვა ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ, ადმინისტრაციის მხრიდან მისი მოგვარების მიზნით. მაგალითისთვის, მინდა აღვნიშნო სტუდენტების მიერ დასახელებული, ადმინისტრაციული კორპუსის ლიფტების პრობლემა და გაცნობოთ, რომ მისი რეკონსტრუქციის პროცესი მიმდინარეობს და მალე დასრულდება“, — აღნიშნა ბატონმა ალექსანდრემ.

„ERASMUS +“-ის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო კანდელაკმა გააკეთა პრეზენტაცია აღნიშნულ პროგრამაში არსებული შესაძლებლობების, მასში მონაწილეობისთვის გასაწველი პროცესების შესახებ, ისაუბრა სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან ურთიერთობის შესახებ.

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს რათა განავითაროს ურთიერთობები კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო უნივერსიტეტთან, რომლებთან თანამშრომლობაც, თითოეული ფაკულტეტის სტუდენტს, შესაძლებლობას მისცემს ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში“, — აღნიშნა ქალბატონმა ნინომ. სტუდენტებს ამ მიმართულებით. საკუთარი გამოცდილება მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა სოფო გვერდნიძემ გაუზიარა, რომელიც გაცვლით პროგრამით მე-8 სემესტრში უნგრეთში, დებრეცენის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. სტუდენტმა მადლობა გადაუხადა თსსუ-ის ადმინისტრაციას ამ შესაძლებლობისთვის და აღნიშნა, რომ ეს იყო საუკეთესო გამოცდილება როგორც სხვათა, ასევე საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობის განვითარების კუთხით.

შეხვედრის მნიშვნელოვან ნაწილზე, კითხვა-პასუხის რეჟიმზე, გადასვლისას პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მიმართა სტუდენტებს და სთხოვა, გამოეთქვათ საკუთარი აზრი:

„სტუდენტური ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონალი უნივერსიტეტში, ამიტომაც თქვენი აზრი ყველაფერთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა, მითუმეტეს, რომ ეს თქვენი უნივერსიტეტი და ასე იქნება მუდამ, მას მერვეც, რაც უნივერსიტეტს დაამთავრებთ და

პროფესორები გახდებით. ამიტომ ჩვენ ვართ მზად მოვისმინოთ თითოეული თქვენგანის წინადადება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ერთად ვიმუშაოთ მათ მოსაგვარებლად“.

სტუდენტებმა გამოხატეს საკუთარი აზრი სასწავლო თუ ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით. თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ აღნიშნა, რომ არცერთი საკითხი არ დარჩება ყურადღების და რეაგირების გარეშე.



დაფუძნებული ლოგიკური კითხვები, შავ ყუთთან დაკავშირებული კითხვები, რებუსები, ანაგრამები და ა.შ) ყველა დავალება შედგენილი იყო იმ მასალის გამოყენებით, რაც სტუდენტებმა ისწავლეს ჰისტოლოგიაში ორი სემესტრის განმავლობაში. ვიქტორინის მსვლელობას უძღვებოდა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძე. ყველა დავალების კომპიუტერული უზრუნველყოფა ძალიან წარმატებულად განახორციელა დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, სოფიკო გიორგაძემ. ვიქტორინის მსვლელობაში სხვადასხვა სახით მონაწილეობდა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი და მონვეული მასწავლებლები.

ჯგუფების მონესრიგებულ, შეთანხმებულ და დროულ მონაწილეობას სხვადასხვა დავალების შესრულებაში, ისევე როგორც გასულ წელს, ხელმძ-

ღვანელობდნენ სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები (ლაურა ნაგერვაძე, მაია გელაძე, შილა სამხარაძე, ნატალია ვასილევა, თინათინ სიხარულიძე, მარიამ აბუაშვილი).

ვიქტორინის შედეგების შეფასებას ახდენდა ჟიური, რომელსაც თავმჯდომარეობდა ადამიანის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ირინა კვაჭაძე, ჟიურის წევრები იყვნენ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ასმათ მუყაკიძე, კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი ლიანა კიკელიძე.

დაძაბულობის პიკს შეჯიბრმა განსაკუთრებით ბოლო ეტაპს მიაღწია, სტუდენტები ცოდნის გამოვლენის სისწრაფით და მიხვედრილობით გამოირჩეოდნენ. საუკეთესოა შორის საუკეთესო გახდა გუზდი ანა დედაშვილის, ნინო რომაშვილის, ციცი მაისურაძის, დიანა დოლიძის, ეკატერინე ბოიკოს, ლიკა დეკანოიძის და დავით ბადრიძის შემადგენლობით.

ადამიანის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირინა

კვაჭაძემ, განაცხადა, — ახალგაზრდებს ასეთი აქტიურობა ნამდვილად ბევრად ემარება თვითშეფასების ამაღლებაში, ხას-წავლი მასალის პროფესიოში გამოყენების მნიშვნელობის დანახვას.

ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ რუსუდან რუხაძის აღნიშვნით: — ვიქტორინაში მონაწილეობა თითოეულ სტუდენტს აჩვენებს მოკლე დროში სწორი პასუხის მოძებნას, ლოგიკურ აზროვნებას, აძლევს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას. კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული ლოგიკური კითხვები ხელს უწყობს ბაზისურ საგნებსა და კლინიკას შორის არსებული კავშირის უკეთ შეცნობას. გამარჯვებულიც არის გუზდი და არა პიროვნება. აქედან გამომდინარე სტუდენტები ეჩვენებიან გუნდურ მუშაობას, ერთმანეთისთვის აზრის გაზიარებას, ერთმანეთის მოსმენას, შეთანხმებულ მუშაობას, რაც ექიმის საქმიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან ერთად, ვიქტორინაში მონაწილეობა სტუდენტებს აძლევს საშუალებას, შეიძინონ ცოდნა უფრო სახალისო ფორმით.

მოამზადა ღარეჯან კომლაძე

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით, უკვე მეორედ ჩატარდა ვიქტორინა, რომელშიც მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის 49 სტუდენტი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით, მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

ვიქტორინა 4 ეტაპად მიმდინარეობდა. თითოეული ეტაპისთვის შედგენილი იყო განსხვავებული, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური დავალებები (კროსვორდის შევსება, ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, ბლიც-კითხვები -1 წუთის მანძილზე მაქსიმალურად მეტ კითხვაზე პასუხის გაცემა, ჰისტოლოგიური პრეპარატების ბლიც-დიაგნოსტიკა, სხვადასხვა ქსოვილისა და ორგანოების ჰისტოლოგიური პრეპარატის განთავსება სქემაზე შესაბამის უბნებში. კლინიკურ შემთხვევებზე



დიაბეტის დასაბარსხებლად

დიაბეტი მსოფლიო მედიცინის პრობლემაა, ძნელად სამართავი, განსაკუთრებით – ბავშვთა ასაკში; ამ საქმეს ერთგულეობა, სიყვარული და თავდადება რომ სჭირდება, მშვენივრად უწყობს მედიკოსებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჯვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკიდან. სწორედ, საქართველოს პედიატრ ენდოკრინოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თსუ-ის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ მარინა გორდელაძის და მალაქროფისონიან მედიკოსთა გუნდის მცდელობის შედეგად, ასობით პატარა, დღეს, თანატოლთა მსგავსად, მხიარული და ბედნიერი რომა არის. საზიემო შეხვედრაზე, რომელიც დიაბეტის მსოფლიო დღეს მიუძღვნეს, დეპარტამენტის საპატიო სიგელებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ დიაბეტის ყველაზე კარგი კონტროლის მქონე პაციენტები, ყველა მათ მეგობარს კი საჩუქარი და ტკბილეული გადაეცა.

სლოგანი – მე-20 საუკუნემ გადაარჩინა დიაბეტიან ბავშვთა სიცოცხლე, 21-ე კი განკურნავს მას, – რეფრენად გასდევდა იმდღევანდელ საზიემო განწყობას კლინიკაში; ტრადიციას, რომელსაც, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, ახლაც მშვენიერი გაგრძელება აქვს. საზოგადოებას მიესალმნენ სტუმრები საქართველოს ოკუ-




პირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, აფხაზეთის მთავრობიდან, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, ეროვნული ბიბლიოთეკიდან, ასევე, – თსუ-ის პედიატრიის აკადემიური კლინიკიდან და თსუ-ის ადმინისტრაციიდან.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, კლინიკის დირექტორმა, პროფესორმა ლია ძიძგურმა, ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამის კოორდინატორმა, გვანცა ვასვანიამ, საქართველოს დიაბეტის ასოციაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა რამაზ ყურაშვილმა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ, ერთხმად აღნიშნეს

კოლექტივის თავდაუზოგავი საქმიანობის, ასევე, ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს მესვეურთა, თსუ-ისა და კლინიკის ადმინისტრაციის მუდმივი ყურადღების, თანადგომის და მზაობის შესახებ ნორმ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. სწორედ თავდადება და ნარმატებული საქმიანობა გახდა კიდევ პროფესორ მარინა გორდელაძისთვის ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური ჯილდოს გადაცემის საბაზი და რომ იგი, მედიკოსთა შესანიშნავ გუნდთან ერთად, ენდოკრინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ეკატერინე ფაცაციათა, დიაბეტის სკოლის ხელმძღვანელ, მარინა ფხალაძის, ასევე, ეკატერინე გირგვლიანის და რეზიდენტ ქეთევან მღებრიშვილის შემადგენლობით, თავდაუზოგავად ზრუნავს მათთვის, ვისთვისაც ამგვარ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პედიატრ ენდოკრინოლოგთა საზოგადოებამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა გერმანელი პროფესორი მიხაელ ლენტე, ნიშნად თანადგომისა. „დაბრკოლებები და პერსპექტივები“ იყო პროფესორ მარინა გორდელაძის გამოსვლის მთავარი თემა, საიდანაც საზოგადოებამ კარგად დაინახა, რომ დაბრკოლებები ამ მიმართულებით მალე მინიმუმამდე შემცირდება და რომ ეს ურთულესი დაავადება რეალურად მართვადი გახდება, საბოლოოდ კი – განკურნებადი.

დარეჯან კომლაძე



კონფერენსია – „ახალი მიმართულებები და საბუნებრივი მიდგომები კლინიკურ მედიცინაში“

2018 წლის 24 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ინიციატივითა და ორგანიზებით, სასტუმრო „ტიფლის პალასში“, გაიმართა კონფერენცია - „ახალი მიმართულებები და სამკურნალო მიდგომები კლინიკურ მედიცინაში.“

ლონისძიება ოფიციალურად გახსნა და სტუმრებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რომელმაც აღნიშნული კონფერენციის ჩატარების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის სხვადასხვა მიმართულების: ონკოლოგიის, უროლოგიის, ზოგადი ქირურგიის, პროქტოლოგიის, რადიოლოგიის და ულტრაბერეითი დიაგნოსტიკის, ნეფროლოგიის, შინაგანი მედიცინის, ალერგოლოგიის, ნეიროქირურგიის, რეანიმაციის, ანესთეზიოლოგიის, სისხლძარღვთა ქირურგიის, ტრავმატოლოგიის წარმომადგენლები.

შეხვედრის ფარგლებში განიხილეს საინტერესო კლინიკური შემთხვევები, შესრულებული ქირურგიული ოპერაციები, ახალი თერაპიული და კლინიკური სტრატეგიები და მათი მნიშვნელობა მომავლის მედიცინაში.

გაიმართა საინტერესო დისკუსია: დაისვა შეკითხვები, რაზეც ამომწურავი პასუხები გასცეს მოხსენებლებმა. ღონისძიების დასასრულს თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

როგორც კონფერენციის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ღონისძიება ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ყოველწლიურად ჩატარდება.



კონფერენსია - „ეპიდემიური ჯანდაცვა - ძილის დაზარალებისა და ეპიდემიის მართვის პრევენციები“

2018 წლის 26 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში, ჩატარდა კონფერენცია - „ეპიდემიური ჯანდაცვა - ძილის დაზარალებისა და ეპიდემიის მართვის პრევენციები“.

ლონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. მისასალმებელი სიტყვით, ასევე, გამოვიდნენ ეპიდემიისა და ძილის დაზარალების ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი ნათელა ოკუჯავა და ნიდერლანდების ეპიდემიის ინსტიტუტის პროფესორი ჟან ვილემ ბარდილაი.

ქალბატონმა ნათელა ოკუჯავამ წარადგინა თემა: „ინსომნიის ელექტრონული კოგნიტურ ბიპევიორული თერაპია და ელექტროენცეფალოგრამის ავტომატური დამუშავება – სად

ვართ და საით მივდივართ“ და ინსომნიის ელექტრონული კოგნიტურ-ბიპევიორული თერაპიის პირველი ქართული პროგრამის პრევენცია.

კონფერენციაზე, ასევე, მოხსენებებით წარდგინეს დარგის საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტები: პროფესორი მარტინ ბროდი, ეპიდემიის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელი (დიდი ბრიტანეთი); პროფესორი ანემიკა ვან შტრატენი, კლინიკური ფსიქოლოგიის პროფესორი, ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტი (ჰოლანდია); პროფესორი ალ დე ვერდი, ნიდერლანდების ეპიდემიის ინსტიტუტი (ჰოლანდია); პროფესორი ტილმან კლუგე, ვენის მაღალი ტექნოლოგიების ინსტიტუტი (ავსტრია); ალექსანდრე ნერეთელი, ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის ეპიდემიისა და ძილის დაზარალების ცენტრი (საქართველო). ღონისძიების დასასრულს, მონაწილე სტუმრებსა და ავტორებს შორის გაიმართა დისკუსია.





პროფესორ მიხეილ შენგელიას სახელობის მედიცინის ისტორიის მუზეუმი, რომელიც თსსუ-ის სასწავლო-სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს, ხანგრძლივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა.

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი 55 წლის წინ მედიცინის ისტორიის მკვლევრის, პროფესორ მიხეილ შენგელიას, მიერ დაარსდა, მან ერსა და ქვეყანას დაუტოვა უმთავრესი სამეცნიერო-კულტურული კერა, დღემდე კავკასიის რეგიონში ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმი.

ახალგაზრდა მეცნიერი მიხეილ შენგელია მეოცე საუკუნის შუახანებში ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის კარიბჭესთან იდგა. სწორედ იგი გვევლინება ამ დარგის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად და ახალგაზრდა მეცნიერთა თაობების აღმზრდელად.

მუზეუმის ფონდებში დაცულია უნიკალური ისტორიული ღირებულების მასალა – უძველესი სამედიცინო ხელნაწერები, არქეოლოგიური არტეფაქტები, სამედიცინო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალები, ცნობილი ქართველი მედიკოსების პირადი არქივები, სამედიცინო ხელნაწერები, აპარატურა, ფოტომასალა, ფილმები და სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

საინტერესოა, რომ ექსპონატების დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხე-

მსოფლიო სივრცეში ჩვენი ადგილის და როლის განსაზღვრისთვის

ში ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგადაა მოპოვებული, ესაა მასალა ხალხური მედიცინის, სამედიცინო ეთნოგრაფიის და ფოლკლორის შესახებ, ესაა ათიათასობით რეცეპტი და ასობით მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის კომპონენტი, ჰერბარიუმები. მასალა შესწავლილი და დამუშავებულია მეცნიერული თვალსაზრისით და მონოდებულია მათი თანამედროვე მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობანი.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სამუზეუმო მასალების საფუძველზე შესრულებულია ათასზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის – რამდენიმე მონოგრაფია, გამოვლენილი და ტექსტურადაა შესწავლილი სამედიცინო ბასიათის ხუთასზე მეტი ხელნაწერი, 2017 წელს გამოცემულ „ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგს“ კი დიდი საერთაშორისო აღიარება მოჰყვა.

მუზეუმის აღორძინების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ შენგელია, რომელმაც შეხვედრაზე მოკლედ მიმოიხილა მუზეუმის შექმნის ისტორია, ის რთული და ხაყოფიერი გზა, რაც კოლექტივმა დღევანდელ დღემდე გამოიარა.

პრეზენტაციაზე გამომსვლელებმა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ლევან ხარატიშვილმა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილ-

თა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა ბოხუამ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, საინტერესოდ ისაუბრეს მუზეუმის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების და პროფესორ მიხეილ შენგელიას ღვაწლის შესახებ დიდ ეროვნულ საქმეში; ხაზი გაუსვეს პროფესორ რამაზ შენგელიას – დარგის აღიარებული მეცნიერისა და მკვლევრის, უმნიშვნელოვანეს როლსა და პროფესიონალიზმს.

პროფესორი რამაზ შენგელია საზოგადოებას ღრმა მეცნიერული გადმოსახედიდან ესაუბრა მუზეუმში დაცული თითოეული ნივთის თუ არტეფაქტის შესახებ, ასევე, იქ წარმოდგენილი მათ მიერ ჩატარებული უმნიშვნელოვანესი კვლევების მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. მისი სიტყვებით, დაგვიმლი აქვთ მოლექულური ანთროპოლოგიის ლაბორატორიის შექმნა, სადაც მოხდება, როგორც თანამედროვე მოსახლეობის პოპულაციური გენეტიკის, ასევე, ნამარხი ბიოლოგიური მასალის გენეტიკის შესწავლა-შეჯერება, რაც ქართველი ერის ანთროპოლოგიის და ეთნოგენეზის კვლევისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიზნით, უკვე შექმნილია ოსტეოთეკა – ნამარხი ძვლოვანი მასალის კოლექცია, რომლის გენეტიკური კვლევა სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის ბევრ პრობლემას გადაჭრის.

მედიცინის მუზეუმის სივრცეში ასევე დაგვიმლია თანამედროვე მიღწევების, ფარმაცევტული თუ სამედიცინო აპარატურის სიახლეების პრეზენტაცია.

მუზეუმის გახსნა ერთმნიშვნელოვნად ემსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას.

დარეჯან კომლაძე



საჯარო დაქვნიები — ახალი პირობები სტუდენტთა ინისიატივით

ნოემბერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტები — ორგანიზების თუ მასში მონაწილეობის გათვალისწინებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის და საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (GMSA) კოლაბორაციული პროექტის ფარგლებში უკვე ორი ლექცია მოისმინეს სტუდენტებმა: ნოემბრის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ნეიროქირურგ ედიშერ მალალაშვილის საჯარო ლექცია — „თავის ტვინი, ნეიროანატომია და ნეიროფიზიოლოგია“, რომელზეც ლექტორი სტუდენტებს ესაუბრა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ზოგადი ანატომიის და პისტოლოგიური და პერიფერიული სანყისების შესახებ.

შეხვედრა გახსნა და სტუდენტებს პროექტის შესახებ ესაუბრა GMSA-ში თსსუ-ის

ლოკალური ხელმძღვანელი და სამედიცინო განათლების კომიტეტის ნაციონალური ოფიცერი, თსსუ-ის მე-9 სემესტრის სტუდენტი, გიორგი ჩილინგარაშვილი. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ამგვარი ლექციების მნიშვნელობასა და სტუდენტების დიდ ინტერესზე.

სტუდენტთა დიდი დაინტერესება გამოიხატა, ასევე, ამ პროექტის ფარგლებში კარდიოქირურგ ზვიად ბახუტაშვილის მიერ წაკითხულმა ლექციამ: „კარდიოქირურგიის აქტუალური საკითხები“. თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა, IFMSA-ს ადგილობრივი წარმომადგენლობის — GMSA-ს წევრმა, ელენე გუნიამ, ისაუბრა IFMSA-ს შესახებ, ასევე, საგანმანათლებლო პროექტების აუცილებლობასა და სამომავლო აქტივობებზე. სტუდენტებს მიმართა თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსმა სპეციალისტმა, თამარ საგანელიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ლექციების თემატიკის და სასურველი ლექტორების შერჩევა სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მოხდა და პროექტის ფარგლებში კიდევ ბევრი საინტერესო ლექცია დაგეგმილი.

მნიშვნელოვანია, რომ მომავალ ექიმებს შესაძლებლობა ეძლევათ შეხვდნენ მათთვის საინტერესო პროფილის წარმატებულ კლინიცისტებს, გაიღრმავონ ცოდნა და სწორი გადაწყვეტილება მიიღონ კარიერის დაგეგმვისას.

სტუდენტების ინიციატივით ჩატარებულ კიდევ ერთ საინტერესო ლექციას უმასპინძლა ნოემბერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, სადაც მკაფიოდ წარმოჩინდა სტუდენტების სარწმუნოებისადმი, ზოგადად, სულიერი ცხოვრებისადმი სწრაფვა და დამოკიდებულება — დეკანოზ თეოდორე გიგანაძის ლექცია: „აქტიური სამოქალაქო ცხოვრება და სულიერება“, თსსუ-ის საინიციატივო გუნდის — „თავისუფალი სტუდენტობის“ — ორგანიზებით ჩატარდა და სტუდენტ-

თა აქტიური ჩართულობით წარიმართა. დეკანოზი, ექიმის და ზოგადად, ადამიანის აქტიური ცხოვრების მნიშვნელობაზე ესაუბრა მომავალ ექიმებს და დიდხანს პასუხობდა მათ შეკითხვებს.

ნიშანდობლივი იყო დეკანოზის მიმართვა სტუდენტებისადმი, რაც ახალგაზრდების დამოკიდებულებას, მათ ბოლოდროინდელ აქტივობას ზუსტად ეხმიანებოდა: „ექიმობა არის პროფესია, რომლის სამუშაოებიც ადამიანი ემსახურება მოყვასს... აქტიურობა კი თქვენი, როგორც მომავალი ექიმების, როგორც ახალგაზრდების, ვალდებულებაა... როცა ადამიანი (პაციენტი) მოდის დახმარების იმედით, შემხვედრი ნაბიჯის გადადგმა, უბრალოდ, ვალდებულებაა, რაც სიყვარულითაა ნაკარნახევი — მოყვასის და საკუთარი საქმის სიყვარულით... სწორედ ამგვარი სიყვარული იგრძნობოდა სტუდენტების აქტიურობის მიღმა, რასაც მრავალრიცხოვანი აუდიტორიები და ახალგაზრდების განსაკუთრებული ინტერესიც ცხადყოფდა.

ნათო გოლქვაძე



კლასიკური მუსიკის კონსერტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული სტუდენტებისთვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი და ისინი ახერხებენ არა მხოლოდ წარმატებით თავიანთი შესაძლებლობები სიმღერაში, ცეკვაში, თეატრსა თუ მუსიკაში, არამედ პუბლიკის დიდ მონონებას და სიყვარულსაც იმსახურებენ...

უკვე კარგა ხანია თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებობს კლასიკური მუსიკის განყოფილება (ხელმძღვანელი – გოდერძი ჩიტაიშვილი), რომელიც საინტერესო კონცერტებით ხშირად ანებიერებს მსმენელს. ნოემბერში ჩატარდა კონცერტი, სადაც მსმენელის წინაშე წარდგინდა თსსუ-ის სტუდენტები — ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

ყურადღებას იქცევდა სტუდენტების შესრულების მრავალმხრივობა და გულწრფელი მანერა. მათ ცნობილი კომპოზიტორების: შოპენის, ბეთჰოვენის, დებიუსის, რახმანინოვის, ყანჩელის, ბზვანელის, კემულარის ნაწარმოებები ააჟღერეს და მართლაც მოხიბლეს მსმენელი.

წარმატებულ კონცერტში დიდია სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების ხელმძღვანელის, გოდერძი ჩიტაიშვილის, წვლილი, რომელიც მადლიერებას გამოხატავს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ სათანადო პირობების შექმნისა და ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, როგორც მას არაერთხელ აღუნიშნავს, წარმატების საწინდარი კლასიკური მუსიკისადმი სტუდენტების დამოკიდებულება, მათი განსაკუთრებული სიყვარულია.

ნატო ბოლქვაძე



ნიუნარ სოფლისა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოლომონ ერგემლიძე) და სპორტის და ხელოვნების დეპარტამენტის ცენტრის (დირექტორი ზაურ ფხალაძე) მხარდაჭერით, ცნობილი ექიმის და პიროვნების, მამული იაშვილის და თსსუ-ის სპორტის ყოფი-

ლი კათედრის თანამშრომლის, შესანიშნავი პედაგოგის, მახარე ჟღენტის, სსოფნას მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში (მთავარი მსაჯი – თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე). ჯგუფური რაუნდის შემდეგ თორმეტი გუნდიდან გამოვლინდა უძლიერესი ოთხეული („მკურნალი“, „გლადბახი“, „მილანი“, „გულაგი“), რომელთა შორის დაძაბულ ბრძოლებში გათამაშდა საპრიზო ადგილები; გამოვლინდა საუკეთესო მეკარე – შოთა ბერიძე, ულამაზესი გოლების ავტორები – გეგა ბაქრაძე და გიგა კაპანაძე, ბომბარდირი – ვასილ კვანჭიანი, ყველაზე ტექნიკური მოთამაშე – სოსო გიომეილი, საუკეთესო ფეხბურთელად კი გიორგი პაიჭაძე დასახელდა.



პროფესორ პატივი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

27 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის, „ACTS Georgia“-ს დამაარსებლის, ექიმისა და პროფესორის, ქალბატონ პატივი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. პროფესორ ბაქრაძის ხსოვნის პატივსაცემად, თსსუ-ის ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციის და „ACTS Georgia“-ს წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და პროფესორის მეგობრები შეიკრიბნენ. მათ ნუთიერი დუმილით მიაგეს პატივი პროფესორის ხსოვნას.

აუდიტორიას მიესალმნენ და პროფესორ პატივი ბაქრაძის მიერ საქართველოსთვის განეული ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ისაუბრეს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭორიამ, „ACT Georgia“-ს პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი ნილოსანმა და ვიცე-პრეზიდენტმა, ბატონმა გურამ ამირიძემ.



სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, თსსუ-ის პროფესორები, „ACT Georgia“-ს წარმომადგენლები, პროფესორ ბაქრაძის მეგობრები.

„ექიმი პატივი ბაქრაძე იყო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში, 1991 წელს, ჩამოვიდა საქართველოში. ის გახლდათ ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და ქველმოქმედი, რომელიც მძიმე დროს გვერდით ედგა საქართველოს; ზრუნავდა პაციენტებზე, ექიმებზე, ჯანდაცვის სისტემაზე... მან გადაამზადა პროფესორ ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების მართვასა და მკურნალობაში.

პროფესორ ბაქრაძის ინიციატივით, „ACT Georgia“-სა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, 1995 წლიდან დღემდე, ხორციელდება საგანმანათლებლო-სამკურნალო ბანაკის პროექტი დიაბეტი დაავადებული ბავშვებისათვის. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, ბანაკი მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ ფუნქციონებას და კიდევ უფრო მეტ პაციენტს დაეხმარება დაავადების მართვასა და მკურნალობაში.

მედიცინის ისტორია იქსტრეიმში

მედიცინის ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები კარგად არის ცნობილი ყველასთვის, ვინც სამედიცინო სფეროში მუშაობს, ან სამედიცინო განათლებას იღებს. თუმცა ის ხელოვნების ნიმუშები, რაც მედიცინის ისტორიის საკითხებს ასახავს, ყოველთვის არ არის ფართოდ წარმოდგენილი.

ხელოვნების ისტორიის ერთი დიდი ფურცელი ეთმობა ცნობილ მკვლევრებსა და მეცნიერებს, ისტორიულ აღმოჩენებს, რომლებიც საუკუნეების წიაღში იქცა საძირკვლად სამომავლო კვლევებისა და მიღწევებისთვის.

შემოვთავაზებთ პუბლიკაციებს იმის შესახებ, თუ როგორ ასახავს ხელოვნება (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოხელოვნება) მედიცინის ისტორიას.

უილიამ ჰარვეი წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის საკუთარ თეორიას

უილიამ ჰარვეი (1578-1657) — ინგლისელი ექიმი, პირველთაგანი იყო ვინც სისხლის მიმოქცევა აღწერა. მან მრავალჯერ ჩაატარა ექსპერიმენტი ცხოველებზე, რომ დაემტკიცებინა თავისი თეორია, საბოლოოდ შეეტანა აღმოჩენა თავის ტრაქტატში: გულის მოქმედება და სისხლი.

ჰარვეიმდე ფიქრობდნენ, რომ არტერიული და ვენური სისხლი მნიშვნელოვანწილად განცალკევებულია და მხოლოდ პარკუჭების უხილავი ხვრელების გავლისას აქვთ შეხება.

ჰარვეიმ სწორად აჩვენა, რომ გული ტუმბავდა სისხლს არტერიებში და ეს სისხლი ბრუნდებოდა გულში ვენების საშუალებით, მართალია, ვერ აღწერა სისხლის არტერიებიდან ვენებში გადასვლის მექანიზმი, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ამ გზაში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ მცირე სისხლძარღვები.

ჰარვეი დიდი მონდობით კითხულობდა ლექციებს ანატომიაში, და, ამავდროულად, გეგმავდა თუ რაში ხედავდა სამედიცინო განათლების კარგ პრაქტიკას. ეს მოიცავდა გაკვეთისა და პათოლოგიური დემონსტრაციის (პათანატომიურ თეატრსაც ეძახიან ჩვენთან) საგანმანათლებლო მიზნით გამოყენებას.

მე ერთდროულად ვსწავლობ და ვასწავლი ანატომიას არა ნივნებიდან, არამედ კვეთისას, არა ფილოსოფოსის პოზიციიდან, — არამედ ბუნებრივი ქსოვილების გამოყენებით.



ამ სურათზე ჰარვეი დგას. მსმენელი ისვენებს სკამზე. ეს ჩვეულებრივი სანახაობა არაა, ვიდრე გაიაზრებ, რომ მონაფე მეფე ჩარლზ I-ია.

ჰარვეი იყო მეფე ჩარლზ I-ისა და მამამისის — მეფე ჯეიმსის ექიმი. თავის განთქმულ ნაშრომებს ჰარვეი სწორედ ჩარლზ I-ს უძღვნა.

ერნესტ ზოარდის სურათმა — „უილიამ ჰარვეი უჩვენებს სისხლის მიმოქცევის შესახებ თავის თეორიას ჩარლზ I-ს“, — ისტორიული სიმართლე, როგორც ხელოვნების ნიმუში ისე უკვდავყო.

პიერან ვოლპი,
„სამედიცინო განათლება — ისტორია 100 ფოტოს მიხედვით“

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკუბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspapertsmt@gmail.com